Acharelsa gogonebsa
Stsviva tsitsinatelebi.
Dandalodan Dolognamde
Sul kaklebi, kaklebio,
Ghmertma qvelas mogimravlos
Am kaklebis akvnebio.

62. Eg Tskhovreba

Eg tskhovreba vinats tkbilad galia,
Netav momklas lamazebis eshkhma,
Am kveqanas ghvino vints ar dalia,
Saikios ras inatrebs netav,
Kalis eshkhit ghvinots bevri davlie,
Jikhvis rkazets sul santlebi mento,
Nakhevari tskhovrebis gza gavlie,
Nakhevari tsota aris, Ghmerto.

63. Megruli Mgzavruli

Miqors patskha margalishi
Moqunapill(i) pargalishi,
Mecheda-t tskrontili
Chipe chipe mangarishi:

Isiri-t ginortvili,
Vart(i) kramit do qambarishi:
Teki oko mulardasi,
Skvami tsira margalishi.
Pskeiepishi marduali,
Chqolopua antarishi.
Komolkochish(i) menduuli,
Lekerti do tantarishi.

64. Saqvarelo Sheni Keba

Saqvarelo, sheni keba
Utskho mtebshi miambeso,
Gadmoprena davapire,
Magram jachvit mimabeso.
Ramdenits tsamovitsie,
Kalta lursmnit damikreso,
Ar maghirses sheni nakhva,
Qvelgan makhe damigeso.
Ushenobit vdnebi, vchknebi,
Es ki qvelgan gaigeso,
Vints chven shoris makhes agebs,
Mas tvalebi daudgeso.

65. Rirao

Rirao, rirao,
Ras tamashob ninao,
Mitom miqvars chaluani,
Ghvino itsis gvaruani,
Mitom miqvars merevio,
Kalebshi gaverevio.

66. Ianvarshi Vis Unakhavs

Ianvarshi vis unakhavs gazapkhuli,
Endzelebi tetr serebze dakhatuli,
Orghobeshi chukhchukhebdes nakaduli,
Tsis gumbati, tsis gumbati Tsisartqelit dakhatuli.
Ar ikneba, arasodes ar ikneba,
Ianvarshi, ianvarshi gagvitendes gazapkhuli.
Magram rotsa marani gvakvs savse ghvinit,
Naliebi taroebit datenili,
Patardzali gverdita mqavs gulze tkbili,
Nazibrola, nazibrola odishidan moqvanili.
Sheidzleba, mkholod mashin sheidzleba,
Ianvarshi, ianvarshi gagvitendes gazapkhuli.

67. Ai Odelia

Vkrepdi vardsa iasa,
Mas mivutan martasa.
Igi metqvis martalsa.

68. Deli Vodeli Vodela

The song uses only non-lexical words.

69. Baghdaturi Mgzavruli

Baghdatidan chamovedi,
Kveda Dimi moviare,
Rokits tvali gadavavle,
Saimedo gaviare,
Magram chemo saqvarelo,
Ratom damrchi uimedod,
Chemo mkvlelo, chemo mtsvelo,
Chemo akhlo mezobelo.
Obcha, Lega, Sakraula,
Persati da Tsitelkhevi,
Kalo, shentan chamovivli,
Tvals chagikrav, chagekhvevi,
Kalo, kalo, kveqnis tvalo,
Tvalzhuzhuna kristineo,
Shengan damtsvar-dadagulsa
Es vedreba mismineo.

70. Natliachemi Mestumra

Natliachemi mestumra,
Natlia tsverebtsantsara,
Rats natliad mevikide,
Modis aghar damatsala.

Sami dedali davukal,
Tetri, shavi da natsara,

Samive ise shechama,
Tsverits ar gaatsantsara.
Dokit ghvino movutane,
Ert mosmaze gamotsala,
Misad tsasvla rom vukhsene,
Vitom shertskhva, sheitsvala.
Bevri tqvili moigona,
Me martalits ar matsala,
Mohqva tavis gachirvebas,
Arts ki mitkhra da arts ara.

Aghar momtsons misi tsveri,
Tetri, nazi da tsantsara,
Gachenodes sakekelad,
Tito gherad gaetsala.

71. Chari Rama Bebia

Bebia, chemo bebia,
Tsitel kabas shegikerav,
Gakalishvildebia,
Cheitsvi da deikhure,
Maqrad tsamogqvebia.

Babua, chemo babua,
Tatrul tutuns chamogitan,
Tatrul chibukhs, babua,
Tskhen-unagirs shegikazmav,
Maqrad tsamogqvebia.
Bitsola, chemo bitsola.
Pitskhi kveri gamomitskhve,
Chqinti qvelits gishovna,
Parchis kaba shegikerav, Chikhtikopsats vishovna.

72. Qaranai Qanashi

Qaranai qanashivo
Metad mosukebulao,
Chaval shig da devichirav,
Toks shevabam qelzedao,
Shevkazmav da zed shevjdebi,
Gavacheneb serzedao,
Tsin rom katsi shemomkhvdeba,
Gamitsvale tskhenzedao,
Qaranai shekuchmachda,
Ar gamtsvalo tskhenzedao,
Shen qarana, ras kuchmachob,
Shen vin gagtsvlis tskhenzedao.

73. Ula Moko

Ula moko Kakhatisha,
Letare do vamaline,
Ula moko Nosirisha,
Vend vamighu sakhandisha.
Brel-shakh mi-vn-domi,
Skani ashachqolidapa.
Mara muntku vagmimortu,
Dus vodziri tqura japa.

74. Es Ra Chiti

Es ra chiti moprenila,
Saidan da sadauri,
Utskho peris da chikchikis,
Utskho kveqnis, utsnauri.
Ertma vinme madlianma,
Chems ezoshi gadiara,
Tanze etsva shavi chokha
Guli damidardiana.

75. Datvma Lkhini Gadikhada

Datvma lkhini gadikhada,
Moitsvia mezoblebi,
Gareshenits bevri hqavda,
Tura, mela, kata, mgeli,
Uketesi maspindzloba
Unda vtkvat, rom ar nakhula,
Ra sachmeli, ra sasmeli,
Ra iqo, rom ik ar dgmula.
Gakhalisda datunia,
Molkhenit rom skhvebits nakha,
Da tavisi bokhi banit
„Suprulits“ ki shemosdzakha.
Melakudam tashi dahkra,
„Amper, chemo datunao!“
Rogor gshvenis es davluri,
Malaqebi da khtunvao.
Movutsoneb, eameba,
Gabriqvdeba am kebito,
Da chvents ki ra gvenaghvleba,
Vakhshmadats ak davrchebito“.

76. Bicho Gogia

Shvili dedis netarebav,
Sheni nakhva menatreba,
Bicho gogia,
Moviare zghva da khmeli,
Shens adgils ver mivageni,
Bicho gogia,
Netav raa sakvirveli,
Skhvebze metad miqvardi,
Bicho gogia.

77. Kardenakheli Kali Var

Kardenakheli kali var,
Kmari gamikhda avada,
Shevabi kharis uremi,
Mivdivar salotsavada,
Iare bicho, tsavidet,
Ivris chalebi vnakhoto,
Puri da ghvino tsavighot,
Davskhdet da Ikhini vnakhoto.

78. Boria Irkens

Boria irkens, sheren-ts zghva,
Ilunts poportsortu,
Chvins, valuns, merekhans,
Mekhi jas pelekans,
Atetsali ucha sers
Chqishi goruns kvere tkhas,
Tkhashi petelts verchkile,
Gurgils rchkilas ukotans.

79. Odelia Nanina

Ia skvams do vardis jgirs,
Artiani uordes,
Zhir kholos ate baghchas,
Bina arto ughudes.

Makra ochval te sopels,
Ginda orda ginda varda,
Ia do vardis oropas
Zotonjisha ughu rina.

80. Guruli Nana

Es akvani ebanozi,
shiga mtsoli angelozi.
Es akvani bzholisao,
shig mtsoli brolisao,
Deidzine chemo bicho,
Mklavi gagimagrdebao,
Samshoblos mters daamartskheb,
Guli gagimagrdebao.

81. Lamazi Kalis Simghera

Lamazo, nazo da tsqnaro,
Sakebo qovel kalshio,

Tvaltsin midgakhar, makhsovkhar,
Qovel tsuts, tsarat tsamshio,

Shoridan gitsker sitsotskhlev,
Minda chagkhedo tvalshio,

Ghmerts vtkhov, maghirsos zapkhuli,
Rom gnakhulobde khalkhshio.

Da sheni unakhavobit
Arts me vitsode tanshio.

82. Bindisperia Es Sopeli

Bindisperia es sopeli,
Upro da upro binddebis,
Ra aris chveni sitsotskhle,
Chitivit gagviprindebis.
Tsqalo, dadeki miambe,
Sad vin ra dagabarao,
Lashkrad tsasulta dzmebtana
Dama ra dagabarao.

83. Guris Modzin

Guris modzin ma dachkhiri,
Mskva kulani, skani sheni,
Ujgishi miti va bdziri,
Si chkimi re emusheni...
Andgha zoghasha mevulur,
Suvakishi mosapeten

Ar domitsvi mundes mulur,
Dokacheri pukiriten
Machumanisher limjisha
Pelukaten zoghas vore,
Emdghas chkhomi machopuna,
Dido kheleberi vore;
Ma na giari momchaps mosa,
Khes golakacheri mighun,
Emute na pchopa chkhomi,
Man berepesha memighun.
Mzhora iulun ora nulun,
Zogha irden, zogha giulun,
Pia sore si so gulur,
Ar kobdzira mot va mulur.

84. Ma Mure Michirsni

Ma mure michir-s-ni,
Tkvanda komirchkinasia,
Vaa deli ujgushire,
Tsvaleburi rinasia,

Shur do guri chvili magi,
Dovghur oropashini,
Sotin kholo vabtsonebu,
Gachirvebul chkimi tsali.

85. Simartle

Tsis nami mushis marjvena,
Dedamitsats tana,
Es sitsotskhlis naqopia,
Skhva tu aris gana.
Batoni tu ketilia,
Mas davqvebi tana,
Siskhlis msmeli, tqavis mdzvreli
Chirma gaitana.
Glekhkatsis mters shors nu edzeb,
Ver gishvelis khana,
Shentan mokalatebula
Akvs laplapa dana,
Geubneba, gamimarte supra mepistana,
Shemdeg minda mosveneba, Tan mitkhari nana.
Aseti tanjva-tsvaleba Sheidzleba gana,
Nutu ase ukughmartobs
Zghvis gaghma kveqana.

86. Ghmerto Mets gadmomkhede

Ghmerto mets gadmomkhede,
Ertkhel tsqalobis tvalit,
Torem qeltamde avivse
Tsol-shvilis tsodva-bralit.

87. Batono Tavi Manebe

Batono, tavi manebe,
Ughmertod raze mtanjamo,
Rats ghone shemtsevs, mazed mets
Shens sasargeblod vkharjamo,

Tsol-shvili damitovia,
Ara makvs lukma sakhlshia,
Mets kudi mkhuravs, katsi var,
Nu gamomtsqvetav khalkhshia,

Sul mudam shens karze vdgevar,
Khvnashi aris, tu mkashia,
Shemodgomaze kochochits
Aghar medgeba dzarshia!

Esa tkva da tsiblam batons
Tqvia chaurcho tavshia,
Titon ki gadaikarga,
Tsol-shvili darcha sakhlshia.

88. Dzmao Ra Sjobda

Dzmao ra sjobda dzmobasa,
Ertmanetisa qmobasa,
Ertmaneti ver vidzmevit,
Dakhe chvens ugonobasa,
Dzma mashin mogagondeba,
Atni rom gtsemdnen martosa,
Gamshvelebeli ar gqavdes,
Eparebode platosa.

89. Ismine Stsavlis Mdzebnelo

Ismine, stsavlis mdzebnelo!
Moqev davitis mtsnebasa,
Jer mtsare chame; kvlav tkbili,
Tu edzeb gemovnebasa;
Tavs sinanuli sjobia

Bolozham dananebasa,
Chirs mqopi, lkhinshi shesuli,
Shvebad miitvli vnebasa.
Stsavla sikvdimde shenia,
Mudam shentana mqopeli;
Mas getsilebis veravin,
Ar aris gasaqopeli.
Skhvas qvelas makhe ugia,
Tavisa gasaqopeli;
Tu katssa tsodna ara akvs,
Gastanjavs tsutisopeli.

90. Vardsa Hkitkhes

Vardsa hkitkhes, egzom turpa
Raman shegkmna tanad pirad,
Mikvirs, rad khar eklovani,
Povna sheni rad ars dzvirad,

Man stkva, tkbilsa mtsare hpovebs,
Sjobs ikmnebis ratsa dzvirad,
Odes turpa gaiapdes,
Aghara ghirs artsa chirad.

91. Tsutisoplis Stumrebi Vart

Tsutisoplis stumrebi vart,
Chven ro tsavalt, skhva darcheba,

Rasats vaamebt urtierts,
Imis meti ra shagvrcheba?

Sami adli tilos meti
Samareshi ra chagvqveba?

92. Shavlego

Shavleg, sheni chavi chokha, Shavlego,
Siskhlshi shagikhamebia, Shavlego,
Qatsimebi gikhdeboda, Shavlego,
Mtertan brdzola gikhdeboda, Shavlego,
Mashveli ar gchirdeboda, Shavlego.

93. Azambureli Vin Mokla

Azambureli vin mokla,
Me movkal urtanelmao,
Artsa shen mohkal, artsa me,
Mindorma mohkla grdzelmao,

Bichi viqav da vbichobdi,
Korulebs shevkmni navardi,
Sadats qanashi shevvardi,
Tavs vetsi bolos gavvardi.

Iremma irems akhara,
Bakradze avad gamkhdara,
Tu bakradze avad ari,
Topi vin chamogvakhala.

94. Ha Bicho Kurtakiano

Ha bicho, kurtakiano,
Tu khar samshoblos mtsvelada,
Khom khedav, mozghvavebula,
Mtrisa lashkari velada.
Rat ginda khmali, khanjali,
Rom shemogikravs tsnelada,
Eg siqme ar gaikhado
Khalkhisa dasatsqevlada.

Achvene sheni gmiroba,
Kartlis mindors da velsao,
Khelt ar chavugdot samshoblo
I rjul tsabiltsul mtersao.

Tamaris drosha gashale,
Pkha gausinje khmalsao,
Machablis pandurs usmende,
Is mklavs shematebs dzalsao.

95. Kartluri Lashkruli

Omshi tsasvla mas ukharis,
Visats kargi tskheni hqavso,
Dabruneba da shin mosvla,
Visats kargi tsoli hqavso.

Lamazi tsolis patronsa
Unda hqavdes dzaghli prtkhili,
An dzaghli unda prtkhilobdes,
Anu misi dedamtili.

96. Khmalsa Simoklit

Khmalsa simoklit ra ushavs,
Meomars tandablobita,
Siatas mokle kondakhit,
Nasrolsa tqvias dnobita.

Rotsa mtris tareshs skhepaven,
Ertmanets schamen chirsao,
Ar umukhtleben vazhkatssa,
Visats akvs guli kldisao.

Kartls, kakhets, imers gazrdilsa,
Mtlad sakartvelos shvilsao.

97. Alaverdi

Megobrebo jer vusurvot
Chvens samshoblos Dghegrdzeloba,
Da tasebi gamovtsalot,
Ghvinots kargad shegvergeba.

Ase vutkhrat sakartvelos:
Avzed dakhvdi kvlav damkhvedri,
Ara ars ra usashvelo
Qmatsvilebo, „alaverdi“!
Taqvani-vstset dzvelsa Ghmertsa,
Rom sheviknat tsasakhedi,
Dzlevis shemdeg ertmanetsa
Mivadzakhot: „alaverdi!“

98. Vina Stkva

Vina stkva sakartveloze,
Ra didi lomi kvdebao.

Chaukra bedis varskvlavi,
Tsaze mtvaretsa hkrebao,
Tvaltamts dagdzrakhven qornebi,
Gamagrdi, kartvlis dedao da!

99. Dghes Mertskhali

Dghes mertskhali shemoprinda,
Chikchikita gadmomdzakha,
Gazapkhuli, gazapkhuli,
Guls imedi damesakha,

Vijek, sarkmels gadvikhede,
Aremare meskhvapera,
Sasoebam prta gashala,
Gulsa mkra da amidzgera.

100. Me Patara Kartveli Var

Me patara kartveli var,
Kavkasiis mtebis shvili,
Da gantskhromit skhvagan qopnas,
Mirchevnia ak sikvdili.

Kartl-kakheti, imereti,
Guria da samegrelo,
Qvela chemi samshobloa,
Saqvareli Sakartvelo.

შენიშვნები

სარიტუალო სიმღერები

1. თუთა ახალი.

სიმღერა ნოტებზე გადმოტანილია პოლიკარპე ხუბლავას მიერ დამუშავებული ვარიანტიდან, ანსამბლ „ოდოიას“ შესრულებით (წყარო 25).

2. ეს აკვანი ხარატული.

სიმღერა ნოტებზე გადაღებულია „ეთნოფორის“ ჩანაწერიდან (სოფელი მახალიკაძეები, შუახევის რაიონი) (წყარო 24). მსგავსი ნიმუშია ქამადაძის კრებულშიც - (წყარო 12) ზოგიერთი საქცევი ამ კრებულიდანაა. რადგანაც თავად ჟანრიც და ქამადაძის კრებული ამ სიმღერაზე მიუთითებს „საფერხულოს“, ნოტებში იგულისხმება ორპირული შესრულება.

* თავდაპირველად პირველ 4 ტაქტს მხოლოდ შუა ხმა მღერის.

** მე–9 ტაქტი სავარაუდო ხანგრძლიობისაა. სავსებით რეალურია მე–8 ტაქტის პირდაპირ გაგრძელება მე–10–თიც.

შინაარსიან (და არა - ვოკაბელების) ტექსტს შესაძლებელია ამბობდეს მხოლოდ შუა ხმა (ხმოვან ნიმუშში ასეცაა).

3. ია პატონეფი.

სიმღერა ნოტებზე გადმოტანილია ანსამბლ „ფაზისის* მიერ ნამღერი ვარიანტიდან (წყარო 22).

* ამ ვარიანტში სიმღერას ყველა ხმა ერთად იწყებს. სავარაუდოდ, იქნებოდა ჩონგურის თანხლებაც. ასე რომ, შესაძლებელია აქ ჩონგურის გამოყენება. ასევე შესაძლებელია, პირველი ტაქტი იმღეროს მხოლოდ ზედა ხმამ.

** სიმღერის მესამე და მეოთხე ტაქტი შესაძლებელია (და შეიძლება, უპრიანიც იყოს), იმღერებოდეს ორჯერ სწრაფად.

ქრისტიანული სიმღერები

4. ქრისტეს ფერხული.

მოცემული ვარიანტი ჩაწერილია რაჭაში, ნანა მოსეშვილის მიერ (წყარო 23).

5. გერგეტული.

სხვა დასახელებით - „დიდია წმინდა სამება“. ნოტებზე გადმოღებულია ანსამბლ „ჯვარულის“ მიერ აღდგენილი და შესრულებული საექსპედიციო ნიმუშიდან (წყარო 25).

* მითითებული მეოთხედი ბგერა ფერმატათი, ისევე, როგორც მე–14 ტაქტის მეოთხედი ბგერა, ჟღერს თითქმის ნახევარი ნოტის გრძლიობით, - ამგვარად, ეს ორი ტაქტი თითქმის 4/4–ზე სრულდება.

6. გურული ალილო.

გადმოღებულია ა. ერქომაიშვილის გურული სიმღერების კრებულიდან (წყარო 5). სიმღერა დედანში ერთი გუნდისთვისაა, მაგრამ ჩვენ, ჟანრიდან გამომდინარე, ორგუნდოვნად ავსახეთ. თუმცა, შესაძლებელია ერთი გუნდის მიერ მისი შესრულებაც.

7. სვანური ალილო.

ტექსტში ბევრი ვოკაბელია და ასევე - სხვა გაურკვეველი, შინაარსდაკარგული სიტყვა. საუბარია მოსალოცად სიარულზე. ასევე ჩართულია სხვა სიმღერის სიტყვებიც. ვარიანტი აღებულია „რუსთავის“ ჩანაწერიდან (წყარო 20). ნოტებში მოცემულია ორგუნდოვანი ვერსია, თუმცა შეიძლება შესრულდეს ერთ გუნდადაც.

8. მეგრული ალილო.

ეს ალილო გადმოცემულია ბეგი გაბისონიას მიერ და დაბეჭდილია ხორავას კრებულში (წყარო 19). იქ დამწყებად მითითებულია ზედა ხმა. ჩვენ ვარჩიეთ შუა ხმაში დამწყები.

* ეს ბგერა - სოლ დიეზი შესაძლებელია იმღერებოდეს, როგორც სოლ ბეკარი, ან - ამ ორ ბგერას შუა, მეოთხედ ტონზე.

**მესამე და მე–8 ტაქტებში მთელი გრძლიობის ბგერები შესაძლოა, უფრო ბუნებრივი იყოს, რომ ნახევრიანი გრძლიობისად იმღერებოდეს.

*** ამ ტაქტში მარცვალზე „თენ“ ზედა ხმაში e-d-e-ს მაგივრად გამოყენებულია მეოთხედი წერტილით e, რითაც ეხმიანება ამ ალილოს სხვა უფრო ცნობილ ვარიანტს.

ხორავას კრებულში ზედა ხმაში დამასრულებელი ნაგებობა არაა მოცემული, აქ კი იგი მოცემულია წვრილი ნოტების სახით - როგორც რეკომენდაცია.

9. ლადიმ დიდება

ამ სიმღერის ტექსტი მხოლოდ ამ ფრაგმენტითაა შემორჩენილი. სიტყვებიც შინაარსდაკარგულია. თუმცა შესაძლებელია მას ყველაზე გავრცელებული სადიდებელი ტექსტიც შეესაბამოს. სიმღერა აღებულია კრებულიდან „რაჭა-ლეჩხუმი სვანეთი“ (წყარო 3).

* სიმღერას ნოტებში ყველა ერთად იწყებს (მეორე ტაქტი შენარჩუნებული აკორდით). ასეთ შემთხვევაში ჭუნირის შესავალია საჭირო. აქ, სვანური ტრადიციის შესაბამისად, მოცემულია შუა ხმით ერთტაქტიანი დაწყება, რაც ბუნებრივია ხალხური ტრადიციისთვის.

10. იმერული ალილო.

ანსამბლ „სანავარდოს“ ვარიანტის მიხედვით (წყარო 22).

11. იმერული ჭონა.

ნოტირებულია ანსამბლ „სანავარდოს“ ნამღერი ვარიანტის მიხედვით (წყარო 22).

12. ლეჩხუმური ალილო.

აღებულია კრებულიდან „რაჭა-ლეჩხუმი სვანეთი“ (წყარო 3).

* უპრიანად მიგვაჩნია ამ ტაქტის 2/4–ში მღერა ნახევარი გრძლიობის ბგერით;

** 10–ე ტაქტის ბანის ხმათასვლა კრებულში იგივეა, რაც მე–8–სი, მაგრამ აქ განმეორებული საქცევის მეტი მრავალფეროვნებისთვის შევიტანეთ სახასიათო მოძრაობა, რაც იგივე სიმღერაშიც გვხვდება შემდგომში.

13. პირველად ღმერთი ვახსენოთ.

გადმოღებულია ანსამბლ „სანავარდოს“ ნამღერიდან (წყარო 22).

* ეს წვრილნოტიანი რიტმული ფიგურა მკაფიო შენელებით სრულდება. შემდეგი ტაქტიდან ჩვეული ტემპი ბრუნდება.

14. კახური ალილო.

გადმოღებულია ო. ჩიჯავაძის კახური სიმღერების კრებულიდან (წყარო 14).

*კრებულში მღერის დაწყებამდე მინიშნებულია საწყისი რეჩიტატივი სიტყვებზე „აგაშენოთ, აგაშენოთ“, რომელიც ჩაწერილია ნოტებზე (დაღმავალი კვინტური ნახტომით), რაც აშკარად ხელოვნურად გამოიყურება. თუმცა, ეს დალოცვა-შეძახილი ითქმოდა ოჯახის ჭიშკართან მისვლისას, სანამ სიმღერას დაიწყებდნენ.

15. სადღესასწაულო ღიღინი.

გადმოღებულია ტელეგადაცემა „ეთნოფორის“ ჩანაწერიდან სოფელ ღვანკითში, თერჯოლის ფოლკლორული ანსამბლის „იმწერეთის“ შესრულებიდან, ხელმძღვანელი ვალერი ჭოლაძე (წყარო 24).

16. ღმერთო, ღმერთო.

სიმღერა დაბეჭდილია ზაქარია ჩიკვაძისა და გრიგოლ ჩხიკვაძის კრებულებში (წყარო 16).

* სიმღერის მეტრი პირველ ტაქტებში შესწორებულია მეტი მოსახერხებლობისთვის.

** მე–10 ტაქტში ბანი ითხოვს ორი საფეხურით ძირს ჩასვლას - მერვედ რე-ს და მეოთხედებს მი ბემოლ-ს, ხოლო შემდეგ მე–11 ტაქტში პირველ ორ მეოთხედს - მი ბემოლ-ს.

17. ძმანო.

სიმღერა გადმოღებულია ანსამბლ „მესხეთის“ ნამღერიდან (ხელმძღვანელი ზაზა თამარაშვილი) (წყარო 25). სიმღერა აღდგენილია შოთა ალთუნაშვილის მიერ. მისი პირველწყარო - ერთხმიანი ვარიანტი -გრიგოლ ჩხიკვაძის კრებულშია შეტანილი.

საფერხულო სიმღერები

18. ამბობენ რომ თამარ მეფემ.

სიმღერა აღებულია გიორგი სვანიძის კრებულიდან (წყარო 11).

19. გამხიარულდი ბუხარო.

აღებულია „რაჭა-ლეჩხუმი-სვანური“ კრებულიდან (წყარო 3).

* ფრაზის ბოლოს შემოდის მონაცვლე გუნდი სიტყვებზე „ჰეი-და“ - მსგავსი ხმის პარტიებით.

20.ბუბა.

აღებულია „რაჭა-ლეჩხუმი-სვანური“ სიმღერების კრებულიდან (წყარო 3).

* ფრაზის ბოლოს შემოდის მონაცვლე გუნდი ფრაზის ბოლო მარცვლებზე - მსგავსი ხმის პარტიებით.

21. ელა ქომოხთი ელა.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „აიდიოს“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 22).

* უფრო ძველი ტრადიციით ეს სიმღერა ორხმიანია ლაზეთში (ზედა ხმის გარეშე).

სატრფიალო სიმღერები

22.საყვარელო შენი ჯავრით.

სიმღერა ნოტირებულია ავქსენტი მეგრელიძის გუნდის ნამღერიდან (წყარო 22). სიმღერას აშკარად ეტყობა ლოტბარის ხელი - გადამუშავების მხრივ, რაც პირველ რიგში სიმღერის სამპირულად გადაკეთებაში ჩანს. დედანში პირველ ფრაზას მღერის გუნდი, მეორე ფრაზას გაფართოებული გუნდი, ხოლო მესამე ფრაზას ტერცეტი, იგივე „ტრიო“. მეოთხე ვოკალური ხმა „შემხმობარია“, რომელსაც მღერის ორი ან სამი მომღერალი უნისონში.

* ჩონგურის მხოლოდ შესავალია მოცემული. შემდგომში ჩონგურის დამკვრელი გააგრძელებს მსგავს სტილში. ასევე ნოტებში გამოტოვებულია მეორე და მესამე კუპლეტს შორის შესავლის ანალოგიური ინსტრუმენტული ინტერმედიები. მესამე კუპლეტის შემდეგ ნიშნიდან Coda (𝄌) ხდება გადასვლა მსგავს ნიშანზე დასასრულს, იგივე ნიშანზე, Fine-ზე.

23. უნდა მოგწერო წერილი.

ნოტირებულია ანსამბლ „კერიას“ ჩანაწერიდან (წყარო 25), რომლის საფუძველია ასლანიშვილის საექსპედიციო ერთხმიანი ჩანაწერი (წყარო 21), დამუშავებული სამ ხმაში თამაზ გაბისონიას მიერ. ერთხმიანი დედანი ნოტებში მოცემულია შუა ხმაში.

24. ვოი დი ვო.

სიმღერა გადმოღებულია „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის“ კრებულიდან (წყარო 3), ზოგჯერ მას მოიხსენიებენ საწყისი სიტყვებით („სიყვარულმა დამწვა“).

* ბგერა ფა დიეზი დედანში არაა (არის ფა), მაგრამ აქ რედაქტირებულია სტილური მოთხოვნილების შესაბამისად; თუმცა, შემსრულებელს შეუძლია აიღოს ჩვეულებრივი ფა. სიმღერის მეტრული აღნიშვნა შეცვლილია სტილური შესაბამისობის მიზნით (რიტმული სურათი შენარჩუნებულია).

25. იმერული სატრფიალო.

ეს სიმღერა აღებულია თერჯოლის ანსამბლ „იმერეთის“ რეპერტუარიდან (წყარო 24). ბოლო კუპლეტში ნიშნიდან Coda (𝄌) ხდება გადასვლა მსგავს ნიშანზე დასასრულს, იგივე ნიშანზე, Fine-ზე.

* მე-6 ტაქტში ჩაერთვის ბანის ხმა „შემხმობარის“ მცირე ფრაზა. შეიძლება იმღეროს ბანებმაც, ოღონდ შემდეგ ტაქტში პირველ ბგერაზე ორად გაიყოფიან.

26. სატრფოვ შენთვის.

სიმღერა აღებულია თერჯოლის ანსამბლ „იმერეთის“ რეპერტუარიდან. - ამ კრებულის შემდგენლის მიერ ჩაწერილი და გაშიფრული (წყარო 23). სიმღერის პირველი ნაწილი იმღერება მეორე ნიშან სენიომდე (𝄋), ხოლო შემდეგ

მეორდება პირველ ნიშან სენიოდან (𝄋)ფონარამდე (Coda) (⊕)და გრძელდება მეორე ნიშან ფონარიდან (⊕) ბოლომდე.

27. ჰე ჩიტი ქოფურინი.

სიმღერა აღებულია ჭუმბურიძის მეგრული სიმღერების კრებულიდან (წყარო 18).

* სათაური „ღიღინი“ შეცვლილია პირველი სიტყვებით „ჰე ჩიტი ქოფურინი“, რადგან „ღიღინი“ არ გამოხატავს ზუსტად სიმღერის არსს (იქვე კრებულში მეორე „ღიღინიცაა“).

** მე–7 და მე–8 ტაქტი ჩამატებულია შემდგენლის მიერ სტილური შესაბამისობით - გამრავალფეროვნების მიზნით (შემოსაზღვრულია ტაქტის ორმაგი ხაზებით). შემსრულებლებს შეუძლიათ ეს ორი ტაქტი არ იმღერონ.

28. დედაც მიყვარს.

სიმღერა აღებულია ავქსენტი მეგრელიძის გუნდის აუდიოჩანაწერიდან (წყარო 22). დედანში ჩონგურის თანხლებაცაა, რომლის პარტია ნოტებში ცალკე არაა გამოწერილი მისი ჩვეული, თანხლების ტიპიური ფაქტურის გამო.

* აღნიშნული ბანის პარტია - განმეორებად ფრაზაში რეკომენდირებულია შემდგენლის მიერ. შემსრულებელს შეუძლია გაიმეოროს წინა ფრაზის ბანი - როგორც ეს დედანშია.

29. სი სოლ სი ცირა.

ეს სიმღერა გადმოღებულია ჭუმბურიძის მეგრული სიმღერის კრებულიდან (წყარო 18). დედანში არაა, მაგრამ შესაძლებელია შესრულდეს ჩონგურის თანხლებითაც (სრულდება კიდეც).

* დედანში სიმღერას იწყებს ყველა ხმა ერთად. უჩონგურო ვარიანტში (დედნის ნოტებში სწორედ ასეთი ვარიანტია) სიმღერას ზოგადად ერთი მომღერალი იწყებს, ამიტომ ჩვენც შესაბამისად დავბეჭდეთ.

** მე–5–დან მე–9–მდე 4 ტაქტი ჩამატებულია შემდგენლის მიერ სტილისტური შესაბამისობით - გამრავალფეროვნების მიზნით (შემოსაზღვრულია ტაქტის ორმაგი ხაზებით). შემსრულებლებს შეუძლიათ ეს ორი ტაქტი არ იმღერონ.

30. ქალო ხაბარდიანო.

სიმღერა აღებულია ა. ერქომაიშვილის გურული სიმღერების კრებულიდან (წყარო 5).

31. ოროფაში ჭვილი.

(სიყვარულისგან დამწვარი) სიმღერა აღებულია არჩ. ხორავას მეგრული სიმღერების კრებულიდან (წყარო 19).

*დედანში სიმღერას იწყებს ყველა ხმა ერთად. უჩონგურო ვარიანტში (დედნის ნოტებში სწორედ ასეთი ვარიანტია) სიმღერას ზოგადად ერთი მომღერალი იწყებს, ამიტომ ჩვენც შესაბამისად დავბეჭდეთ. მეორე კუპლეტში კარგად ჩანს გამოტოვებული შუა და ქვედა ხმა.

** სიმღერის მე–10 ტაქტში, შუა ხმაში შესძლებელია დო-ს მაგივრად დო დიეზის აღება.

32. ვერ ვამხელ სატრფოვ.

სიმღერა აღებულია მშველიძის ქალაქური სიმღერების კრებულიდან (წყარო 10).

*აქ ბანი იყოფა - მიენიშნება, რომ შესაძლებელია ამ ორიდან ერთ-ერთი ბგერის აღება.

33. ინდი მინდი.

სიმღერა ძირითადად აგებულია რთულად მჟღერ სიტყვებზე, ხშირად აზრსმოკლებულზე. ეს ვარიანტი აღებულია ქამადაძის აჭარული ხალხური სიმღერების კრებულიდან (წყარო 12).

საქორწილო სიმღერები

34. ქობულეთური მაყრული.

საკმაოდ პოპულარული სიმღერა (ადრე მაინც) - ბავშვობიდან მახსოვს. - რადიოთი გადმოსცემდნენ და მალე დავიხსომე (წყარო 22).

35. მერისული მაყრული.

ეს ვარიანტი გადმოცემულია ანსამბლ „ელესას“ მიერ (წყარო 25).

* ზედა ხმა ე.წ. გამყივანია, რაც განსაკუთრებულ არტიკულაციას (ხმის იოდლისმაგვარ გარდატეხას ფალცეტში) გულისხმობს; ეს ზუსტად ასოებით ვერ გადმოიცემა, თუმცა ნოტებით სწავლისას მიიღწევა მსგავსი შედეგი.

** ამ, მე–6 ტაქტში ზედა ხმის ფა ცოტათი მაღლა ჟღერს. მსგავსი მონაკვეთი - მე–14 ტაქტში უკვე ფა დიეზითაა მოცემული.

36. ორირა.

ეს აჭარული სიმღერა წინა მაყრულის საინტერესო ვარიანტია ზედა ხმაში მთქმელით; აღებულია ქამადაძის კრებულიდან (წყაროო 12).

37. ძველი აჭარული მაყრული.

აღებულია ლ. ვეშაპიძისა და ს. კოტრიკაძის აჭარული სიმღერების კრებულიდან (წყაროო 6).

*კრებულში მითითებულია სამივე ხმის ერთობლივი დასაწყისი, მაგრამ რადგანაც ამგვარი რამ არაა დამახასიათებელი მაყრულისა და ზოგადად ხალხური შემსრულებლობისათვის, წინამდებარე ნოტებში თავიდან იწყებს ზედა ხმა. ერთობლივი დაწყების ნიმუში მითითებულია ბოლოსწინა ტაქტში.

38. იმერული მაყრული.

სიმღერა აღებულია ჭუმბურიძის იმერეთის კრებულიდან (წყაროო 17).

* ამ ტაქტში ნოტებში მითთებულია შუა ხმაში დო დიეზი, ხოლო მომდევნოში მაშინვე დო, რაც ზედმეტად ხელოვნურია. წინამდებარე ნოტებში მოცემულია უფრო ბუნებრივი ვერსია.

39. მოკლე მაყრული.

აგებულია მხოლოდ ვოქაბელებზე; სიმღერა აღებულია ჭუმბურიძის იმერული კრებულიდან, ჩაწერილია თხელიძის მიერ (წყაროო 17).

* აქ შუა ხმაში, მექანიკური შეცდომით დო დიეზია დედანში. გასწორებულია შემდეგი მსგავსი მონაკვეთის მიხედვით. გვხვდება უზუსტობები ტექსტის მიწერაშიც. ბოლო კუპლეტში იმღერება ფონარის ნიშანმდე (Coda) (𝄋) და შემდეგ გრძელდება შემდეგი ფონარის (𝄋) ნიშნიდან - ბოლო ორი ტაქტი.

40. რაჭული მაყრული.

ზოგიერთი სხვა მაყრულის მსგავსად, ტექსტი გადმოგვცემს ავთანდილის ნადირობის ამბავს, რაც პატარძლის „მონადირებასთანაა“ ასოცირებული. სიმღერა აღებულია „რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის კრებულიდან“ (წყაროო 3). შეთავსებულია (მეორე გუნდის პარტიაში) რაჭის რაიონული ანსამბლის ვარიანტი (წყაროო 24).

41. მაყარეფიშ ობირუ.

მეგრული მაყრული. სიმღერა აღებულია შარაბიძის კრებულიდან (წყაროო 13).

*დედანში ამ ტაქტში პირველი რე დიეზითაა, მეორე - ბეკარით

42. ლეჩხუმური მაყრული.

აღებულია ლეჩხუმის საექსპედიციო ჩანაწერიდან კონსერვატორიის დისკებიდან (წყაროო 21), შემდგომში ასრულებდა ანსამბლი „კერია“.

* აქ დამწყები - მეორე გუნდის სოლისტი - უერთდება ბანს და შემოდის პირველი გუნდის სოლისტი შუა ხმაში.

43. კუჩხი ბედინერი.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „იანარის“ ჩანაწერიდან (წყაროო 25).

* ამ ტაქტში ზედა ხმაში მი ჟღერს ოდნავ დაბლა.

44. მოჭყუდუშ გინოზარება.

პატარძლის წამობრძანების სიმღერა. აგებულია მხოლოდ ვოქაბელებზე. ნოტირებულია რემა შელეგიას გუნდის ჩანაწერის მიხედვით (წყაროო 22).

* ეს მეოთხე დამატებითი ზედა ხმა ერთგვარი კივილია, რომელსაც რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე ამ სიმღერის შესრულებისას. ეს გაკივლება შერჩევითად ხდება, უმეტესად აღნიშნულ ტაქტებში, ზოგჯერ გამოიტოვება - მაგალითად, მე–3–ში და მე-14–ში.ზოგადად სიმღერა იმღერება მაღალ რეგისტრში.

45. ქვერწილ.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „ფაზისის“ აუდიოჩანაწერიდან (წყაროო 22).

* ყოველი გამეორება უწევს ერთი ტონით ზევით. შემსრულებელი არ უნდა დაბრუნდეს პირვანდელ ტონალობაში, არამედ გააგრძელოს იგივე მუსიკალური მონაკვეთი ყოველ ჯერზე ტონით ზევით - ისე, როგორც ამას დასასრული უჩვენებს.

46. მოვდივართ მოგვიხარია.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

47. ქობულეთური მაყრული.

აღებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

სუფრული სიმღერები

48. ჩონგურო.

სიმღერა ბავშვობიდანვე მესმოდა ოჯახში. მეტად პოპულარული იყო მშობლების თაობაში და დღესაც ინარჩუნებს პოპულარობას (წყარო 23).

* ყურადღება მიაქციეთ ტემპის კონტრასტულ ცვალებადობას.

49. აგვიშენდა მასპინძელი.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

* სიმღერა, გარდა დასაწყისისა, ყოველთვის მეორდება სენიოს (𝄋)ნიშნიდან ბოლომდე.

50. არაწი (ჰარაწი).

სიმღერა ნოტირებულია ჰერულ ანსამბლ „ლაზარეს“ ნამღერიდან (წყარო 25).

* სიმღერის კუპლეტი მეორდება ნიშან სენიოდან(𝄋).

51. მესხური მრავალჟამიერი.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „მესხეთის“ ვიდეოჩანაწერიდან (წყარო 25).

52. სვანური სალხინო.

მეორე სახელით „ოი ხიადულ“. სიმღერა აღებულია ვ. ახობაძის სვანური სიმღერების კრებულიდან (წყარო 2).

* სიმღერის შემდეგი ორი მუხლი იმღერება წინა მუხლებში არსებული ვარიაციული სახესხვაობების გამოყენებით.

** ამ ტაქტის ეს ბოლო ბგერა უხმოა, ერთგვარი „ჩამოქნევაა“ წინა ბგერიდან.

53. მოკლე მრავალჟამიერი.

სიმღერა აღებულია გრ. კოკელაძის კრებულიდან (წყარო 9).

54. რაჭული სუფრული.

სიმღერა აღებულია ანდრიაშვილისა და მახარაძის კრებულიდან (წყარო 1).

* ასეთი ბგერები დედანში არაა ფერმატათი აღნიშნული, მაგრამ ამ სიმღერის საშემსრულებლო პრაქტიკაში ასეთი შესრულებაა დამკვიდრებული.

55. დალიე.

სიმღერა აღებულია „რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის“ კრებულიდან (წყარო 3).

56. ქობულეთური სუფრული.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

* სიმღერა იმღერება მინიშნებული განმეორებებით, შემდეგ ბოლო სენიოს (𝄋) ნიშნიდან გადავდივართ შუაში სენიოს (𝄋) ნიშნამდე, შემდეგ - ფონარიდან ბოლო ტაქტზე- ფონარზე (Coda)(⊕).

57. მიყვარს ამგვარი სუფრა.

სიმღერა აღებულია ქამადაძის კრებულიდან (წყარო 12).

* სანოტო დედანში მოცემულია ყველა ხმის ერთდროული დაწყება, რაც ხალხური შემსრულებლობისთვის არაბუნებრივია. ამიტომ შემოთავაზებულია ერთი (წამყვანი) ხმის მიერ დაწყება. და სხვა ხმების გვიან ჩართვა.

** აქ ბანში უკეთ გაჟღერებისთვის ლა ბემოლი ვარჩიეთ.

*** ასევე ამ ტაქტის ქვედა ხმებში ლა ბემოლია; დედანში არის ლა.

58. შუშანას მრავალჟამიერი.

სიმღერა გადმომცა ხნიერმა ქალმა სახელად შუშანა, რომელიც ხშირად მოდიოდა მგალობლებთან, სამწუხაროდ, მალე ეკლესიაში სიარული შეწყვიტა და გვარიც ვეღარ გავიგე (წყარო 23).

* თითოეული კუპლეტი იმღერება ბოლო სენიოს (𝄋) ნიშნამდე და მეორდება პირველ ნიშან სენიოდან.

59. სტუდენტური მრავალჟამიერი.

სიმღერა აღებულია ა. მშველიძის ქალაქური სიმღერების კრებულიდან (წყარო 10).

* დედანში ამ ტაქტში ლა-ს წერტილი არა აქვს, მაგრამ უფრო ბუნებრივია ჰქონდეს, მით უმეტეს, სხვა ორ შემთხვევაშიც მსგავს ადგილას ლა წერტილიანია.

სალაღობო სიმღერები

60. ქობულეთური.

სიმღერა აგებულია ვოქაბელებზე. აღებულია ქამადაძის აჭარული სიმღერების კრებულიდან (წყარო 12).

* ამ ტაქტის პირველი ბგერა ბანში დედანში არის **d**, როგორც მე–11 ტაქტში, მაგრამ აქ სტილური უმჯობესობისთვის შემსრულებელს **f**-ს ვთავაზობთ.

** ამ ტაქტში შუა ხმაში დედანში მეორე ნახევრიანი ბგერა დო დიეზია, რაც აშკარა ბეჭდვით შეცდომად მოჩანს.

61. დანდალოდან დოლოგნამდე.

სიმღერა აღებულია ქამადაძის კრებულიდან (წყარო 12).

62. ეგ ცხოვრება.

სიმღერა აღებულია ტელეგადაცემა „ეთნოფორის“ მიერ ჭვიშში ჩაწერილი სიმღერიდან (წყარო 24). თუმცა იგი იმეორებს ანზორ ერქომაიშვილის სიმღერას „გაზაფხულთან ერთად“ - ოღონდ შეცვლილი სიტყვებით. ეს ერთგვარი ხალხური ვარიანტია. კუპლეტის დასასრულის შემდეგ იწყება განმეორება ნიშან სენიოდან (𝄋).

მე–13 ტაქტში ბანი ორ ხმად იყოფა - შეიძლება ერთი რომელიმე ხმის მღერა.

63. მეგრული მგზავრული.

სიმღერა აღებულია გრ. კოკელაძის „100 ხალხური სიმღერიდან“ (წყარო 9).

64. საყვარელო შენი ქება.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

65. რირაო.

სიმღერა გადმოღებულია შალვა თაქთაქიშვილის კრებულიდან (წყარო 7).

* ამ ტაქტში მეოთხედის მაგივრად სხვა კუპლეტებში იმავე ბგერაზე ორი მერვედი იმღერება - ტექსტიდან გამომდინარე.

66. იანვარში ვის უნახავს.

სიმღერა გადმოღებულია თერჯოლის ანსამბლ „იმერეთის“ ნამღერიდან ტელეგადაცემა „ეთნოფორში“(წყარო 24).

* სიმღერა სრულდება გიტარასთან ერთად და პირველი ტაქტი მისთვისაა განკუთვნილი (აკორდების ძირითადი საფეხურები მითითებულია ბანის ქვევით).

67. აი ოდელია.

სიმღერა აღებულია ა. ერქომაიშვილის გურული სიმღერების კრებულიდან (წყარო 5).

* დედანში პირველი ბგერაა სი და არა - სი ბემოლი. მაგრამ პრაქტიკაში უფრო სი ბემოლ-ს მღერიან.

** ამ მე–13 ტაქტში ბანში აშკარად დო-ა და არა - დო დიეზი, როგორც ეს დედანშია.

68. დელი ვოდელი ვოდელა.

ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

* ძირითადად მეორდება პირველი ორი კუპლეტი, მესამე კუპლეტს მღერიან დაბოლოებისას, თუმცა არაა გამორიცხული, იმღერებოდეს სხვა სტროფშიც.

69. ბაღდათური მგზავრული.

სიმღერა ჩაწერილია ჩემ მიერ ბაღდათში ადგილობრივი მომღერლებისგან (წყარო 23).

* კუპლეტის დამაბოლოებელი ფრაზა დედანში ჟღერდა ისე, როგორც ზოგადად სიმღერა თავდება, მაგრამ ორი გუნდის მონაცვლეობიდან გამომდინარე, საჭიროა, რომ ფრაზის ბოლო ბგერა და დამწყების პირველი ბგერა სეკუნდაში არ მოთავსდნენ ერთმანეთთან მიმართებაში, ამიტომ ვამჯობინეთ ასეთი ვარიანტი.

სახუმარო სიმღერები

70. ნათლიაჩემი მესტუმრა.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

71. ჩარი რამა ბებია.

სიმღერა აღებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

72. ყარანაი ყანაში.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

73. ულა მოკო.

სიმღერა აღებულია ჭუმბურიძის მეგრული სიმღერების კრებულიდან (წყარო 18).

* მე–10 და მე–11 ტაქტებში დედანში ბანში პაუზაა.

74. ეს რა ჩიტი.

სიმღერა გადმოღებულია ტელეგადაცემა „ეთნოფოტორის“ ჩანაწერიდან, აჭარის სოფელ კოხში (წყარო 24).

75. დათვმა ლხინი გადიხადა.

დასავლურ-ქართული სახუმარო სიმღერა. გადმოღებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

ლირიკული სიმღერები

76. ბიჭო გოგია.

სიმღერა გადაღებულია ტელეგადაცემა „ეთნოფოტორიდან“, ართანის ქალთა ანსამბლის ნამღერიდან (წყარო 24).

77. კარდენახელი ქალი ვარ.

სიმღერა აღებულია ჩიჯავაძის კახური სიმღერების კრებულიდან (წყარო 14).

* დამწყების პარტია ბანის გამოჩენამდე დედან კრებულში ზედა ხმას აქვს მიკუთვნებული. ჩვენ ვარჩიეთ მისი შუა ხმაში გატარება.

78. ბორია ირქენს.

სიმღერა გადმოტანილია ჩიჯავაძის მეგრული სიმღერების კრებულიდან (წყარო 15).

*პირველ ტაქტში დამწყების ორბგერიანი პარტია დედანში მიკუთვნებულია შუა ხმისადმი, თუმცა შემდგომი ანალოგიური ადგილის მიხედვით და რეგისტრის მიხედვითაც ეს პარტია ზედა ხმას უფრო ეკუთვნის.

79. ოდელია ნანინა.

აღებულია ია კარგარეთელის კრებულიდან (წყარო 8). დედანში მას ჰქვია „მეგრული კილო“; სიმღერას მოვუძებნეთ მეგრული ხალხური ლექსიდან „ია და ვარდიშ ყოროფა“ სიტყვები. შემდეგი შინაარსით: „იას და ვარდს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ეს ცხოვრება გაახარებს ვინმეს?“

* დედან კრებულში აქ დო დიეზ-ის ნაცვლად არის დო.

** ეს მე–11 ტაქტი დედან კრებულში ორ ტაქტადაა გაწერილი და ორჯერ ნელია, რაც მას არაბუნებრივს ხდის.

80. გურული ნანა

სიმღერა ნოტირებულია ტელეგადაცემა „ეთნოფორში“ სოფელ ლიხაურის ქალთა ანსამბლის ნამღერიდან სახელწოდებით „დედის ალერსი“ (წყარო 24).

* როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, საკრავის პარტია მითითებულია მხოლოდ დასაწყისში. შემდგომში შემსრულებელი თავად განაგრძობს.

81. ლამაზი ქალის სიმღერა.

სიმღერა ნოტირებულია ტელეგადაცემა „ეთნოფორში“ მჟავანაძეების ოჯახური ტრიოს ნამღერიდან (ოზურგეთი) (წყარო 24).

82. ბინდისფერია ეს სოფელი.

სიმღერა აღებულია ია კარგარეთელის კრებულიდან (წყარო 8).

* დედნის ნოტებში მე-5 და მე-8 ტაქტებში, შუა ხმის ბგერა ბანთან უნისონშია, ამიტომ ვეცადეთ ამ ადგილის ცოტათი გამრავალფეროვნება.

* * დედანში ამ მე-6 ტაქტში ბოლო ორი ბგერა ორჯერ სწრაფადაა, რაც ინტონაციურად ამოვარდნილია, ამიტომ შევასწორეთ ზედმეტი პაუზის ამოღებით.

83. გურის მოძინ.

ნოტირებულია ხელვაჩაურის საექსპედიციო ჩანაწერებიდან (წყარო 21).

ჩივილის სიმღერები

84. მა მურე მიჭირსნი.

სიმღერა აღებული და ნოტირებულია გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ვიდეოჩანაწერიდან (წყარო 25).

* სიმღერა უმეტესწილად სრულდება ჩონგურის თანხლებით.

* * მე-5 ტაქტში თითქმის ყველა შემსრულებელი აკეთებს მეოთხედ პაუზას, როცა აქ მითითებული მცირე პაუზა მთლიანად ინარჩუნებს სიმღერის სახასიათო მეტრს და სტილს.

85. სიმართლე.

სიმღერა აღებულია გიორგი სვანიძის კრებულიდან (წყარო 11).

* სიმღერას სანოტო დედანში ყველა ხმა ერთად იწყებს. შესაძლებელია პირველი ორი ტაქტის მხოლოდ ზედა ხმით მღერა.

86. ღმერთო მეც გადმომხედე.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „ბასიანის“ ვიდეოჩანაწერის მიხედვით (წყარო 25).

* დედანში ამ მე-6 ტაქტის ბოლო ორი თვლა ზედა ხმაში იგივეა, რაც მე-2 ტაქტში - საკმაოდ უცნაური ინტონაცია აღმოსავლურქართული სიმღერისათვის, ამიტომ აქ შემსრულებელს ვთავაზობთ მის ვარიანტს, რომელიც მიგვაჩნია, რომ უკეთ მიესადაგება სტილს.

87. ბატონო თავი მანებე.

სიმღერა აღებულია გიორგი სვანიძის ქართლური სიმღერების კრებულიდან (წყარო 11).

შემგონებლური სიმღერები

88. ძმაო რა სჯობდა.

სიმღერა აღებულია გობრონიძის ქართლური სიმღერების კრებულიდან (წყარო 4).

89. ისმინე სწავლის მძებნელო.

სიმღერა ნოტირებულია გურული საექსპედიციო ჩანაწერებიდან (წყარო 21).

* კარგია, თუ პირველი ტაქტის ფრაზას ცალკე ორი ან სამი შემსრულებელი იმღერებს - ეს ევრეთწოდებული „გადაძახილია“.

90. ვარდსა ჰკითხეს.

სიმღერა გურულია, მაგრამ ჩაწერილია სამეგრელოში, ზუგდიდში (წყარო 21).

91. წუთისოფლის სტუმრები ვართ

სიმღერის მეორე სახელია „ორთამელური“. ნოტირებულია ტელეგადაცემა „ეთნოფორში“ მერისელების ნამღერის მიხედვით (წყარო 24).

საგმირო სიმღერები

92. შავლეგო.

სიმღერის ეს ვარიანტი აღებულია ცვილის ლილვაკების გაციფრებული ჩანაწერებიდან (წყარო 22).

93. აზამბურელი ვინ მოკლა.

სიმღერა ნოტირებულია ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოჩანაწერიდან (წყარო 20).

94. ჰა, ბიჭო კურტაკიანო.

სიმღერა აღებულია სვანიძის ქართლური სიღერების კრებულიდან (წყარო 11).

95. ქართლური ლაშქრული.

სიმღერა აღებულია გრიგოლ ჩხიკვაძის კრებულიდან (წყარო 16). სიმღერის დაბოლოება გარკვეულწილად სტილურად გამართლებული იქნებოდა ამ ტაქტში ზედა ხმაში რე-თი, ხოლო შუა და ქვედა ხმებში სოლ-ით.

96. ხმალსა სიმოკლით რა უშავს.

სიმღერა აღებულია სვანიძის ქართლური სიმღერების კრებულიდან (წყარო 11).

* ეს მე–4 ტაქტი, ისევე, როგორც - მე–8, სავარაუდოდ ორჯერ სწრაფად სრულდებოდა. თუმცა ამ სახითაც შესაძლებელია შესრულება.

პატრიოტული სიმღერები

97. ალავერდი.

სიმღერის ეს მარტივი ვარიანტი აღებულია შარაბიძის კრებულიდან (წყარო 13).

* ამ მე–8 ტაქტში შუა და ქვედა ხმებში ბოლო ნოტი დედანში არის მი.

** რეკომენდაციის სახით შემსრულებელს ვთავაზობთ ბოლო კუპლეტში ამ სიმღერის ამ, მე–10 ტაქტში დამთავრებას.

98. ვინა სთქვა.

სიმღერა გადმოღებულია გრიგოლ ჩიკვაძის კრებულიდან (ნასესხები ზაქარია ჩხიკვაძის კრებულიდან) (წყარო 16).

* როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც, სიმღერაში, რომელიც სანოტო დედანში სამი ხმით იწყება, შემსრულებელს ვურჩევდით პირველი ტაქტი მხოლოდ ზედა ხმას დაეწყო; ამ შემთხვევაში - პირველს.

** ამ მე–7 ტაქტში შემსრულებლებს ვურჩევდით მოესინჯათ ზედა ორ ხმაში ამ ფრაზის სეკუნდით ზევით მღერა.

99. დღეს მერცხალი.

სიმღერა აღებულია კარგარეთელის კრებულიდან (წყარო 8).

* პირველ ორ ტაქტში სანოტო დედნისეული დო-ს ნაცვლად უმჯობესია დო დიეზ-ის აღება.

** მე–5 და მე–6 ტაქტებში შემსრულებლებს შიდა დიეზების აღებას არ ვურჩევთ.

100. მე პატარა ქართველი ვარ.

სიმღერა აღებულია გურიის საექსპედიციო ჩანაწერებიდან (წყარო 21). მე–5 ტაქტში ტერცეტს ენაცვლება ორი ან სამი მომღერლის მიერ შესასრულებელი ბანის სპეციფიკური უნისონი - „გადაძახილი“.

Notes

Ritual Songs

1. Tuta Akhali (New moon)

Megrelian ritual song with the elements of magical text. "New moon, you made me happy, you opened the door to the skies. You are old and I am new."

Transcribed to musical notation from the variant arranged by Polikarpe Khublava, as performed by ensemble Odoia (Source 25).

2. Es Akvani (this cradle)

According to narration – the song to be sung in the first months and years of a child, when he was first put to cradle, was later transformed into a dance and round dance. "In this well-carved cradle, lies a crystal-like, rose-like, restless boy";

Transcribed to musical notation from the example, recorded in the village of Makhalikadzeebi (Shuakhevi district) by the television show "Etnopori" (Source 24). A similar example is also encountered in Kamadadze's collection "Acharan Folk (Source 12) Songs", some of the phrases are from the collection.

Since both the genre and Kamadadze's collection refer to the song as "Saperkhulo" (lit. round-dance), the transcription implies antiphonal alternation of two sides (choirs);

* Initially the first four bars are sung by middle voice. *
* Bar 9 is of approximate duration. It is quite realistic for bar 8 to directly segue to bar 10.

The substantial text (not that of the vocables) can be sung only by middle voice (this is exactly the case in the audio example).

3. Ia Patonepi (Ia patonepi)

Megrelian healing song (similar to "Sabodisho", "Iavnana"). Addressed to "batonebi" – the angels of illness pleading them to depart from the diseased person. "You have a golden throne, violets and roses are spread under your feet";

Transcribed to musical notation from the variant of ensemble Pazisi (Source 22).

* In this variant all voices start singing together. Most likely, it was accompanied with chonguri. Therefore it is possible to play the chonguri here. It is also possible for the first bar to be sung only by top voice.

* * Bars 3 and 4 of the song can (and may even be appropriate), to be sung twice as fast.

Christian Songs

4. Ktistes Perkhuli (Christ's round dance)

"Christ is risen, rejoice all, grace to the herald, may all the living rejoice!" Rachan Easter round-dance song. This variant was recorded by Nana Moseshvili in Racha (Source 23).

5. Gergetula (By the name of Church)

"Great is the Holy Trinity. He does not forgive anyone who disgraces his name."

Mokhevian ritual round-dance song. Transcribed to musical notation from ensemble Jvaruli's variant (Source 25).

* The quarter note indicated by the fermata, similar to the quarter note in bar 14, sounds almost with the duration of a half note, thus, these two bars are performed almost in the meter of 4/4.

6. Guruli Alilo (Gurian Alilo - lit. Halleluiah)

Christmas song-prayer. "The savior was born on 25 December, we wish you a merry Christmas!"

Gurian Alilo from the collection of A. Erkomaishvili "Gurian Folk Songs" (Source 5). In the original, it is for one choir, but given the genre, we presented it for two choirs. However, it can also be performed by one choir only.

According to articulation requirements inserted have been several letters – "a-i-a" instead of "a-a-a".

7. Svanuri Alilo (Svanian Alilo)

Christmas song-prayer. The text has many vocables, as well as other unclear, meaningless words. It tells about walking around to congratulate. Also inserted are the lyrics of other amusing songs ("Kurdgheli sopel choladan"/"A rabbit from the village of Chola", etc.).

Svanuri Alilo is taken from ensemble Rustavi's recording (Source 20), there is a two-choir variant in the transcriptions. However it can be performed by one choir.

8. Megruli Alilo (Megrelian Alilo)

Christmas song-prayer. "We are the heralds of Christmas, may it be happy for you!'". This Alilo performed by Begi Gabisonia, is included in Khorava's collection of Megrelian songs (Source 19).

Khorava's collection indicates top voice as damtsqebi (beginner). But we preferred middle voice to be the beginner.

* This note – sol sharp can be sung as sol natural, or on a quarter tone, between these two notes.

* * The whole-length notes in bars 3 and 8 might be more natural to sing as half-length.

* * * In this bar , on the syllable "ten" in upper voice instead of E-D-E there is quarter note E with a dot, echoing another, better-known variant of this Alilo.

Khorava's collection does not give the finalizing construction in upper voice. But here it is given in the form of fine notes – as a recommendation.

9. Ladim Dideba (Glory to Ladim)

The lyrics of this song has survived only as this fragment. In addition, the words are meaningless. However, the most common glorifying text can be tuned to it.

The song is taken from the collection Racha-Lechkhumi-Svaneti, recorded by D. Toradze and Sh. Milorava (Source 3). The lyrics of only one verse have survived. Supplemented by V. Pilpani.

* In the transcriptions, everyone starts singing together (bar 2 with sustained chord). In this case, chuniri is needed. Here there is a single-bar beginning by middle voice – in accordance with Svan tradition.

10. Imeruli Alilo (Imeretian Alilo)

Christmas song-prayer. "May God grant you all with Christmas and New Year. May you have peace."

The variant of ensemble Sanavardo directed by Benedikte Mikadze (Source 22). Performed by the folk choir of Ilia State University.

11. Imeruli Chona (Imeretian Chona)

Christmas song (The word "chona" refers to the clothing of the procession participants, which previously was made of leather and was a kind of theatrical costume). "Congratulations on the holiday, Easter and new week (Thomas Sunday – meaning the week following the celebration of the Holy Paschal Sunday), May your family be granted abundance and you also reward us."

According to the variant performed by ensemble Sanavardo (Source 22).

12. Lechkhumuri Alilo (Lechkhumian Alilo)

Christmas song-prayer. "Let us rejoice with Christmas. Peace be with you."

Included in the collection "Racha-Lechkhumi-Svaneti" (Source 3).

* We find it appropriate to sing this bar in the meter of 2/4 with a half-length note.

** In bar 10 the bass movement is the same in the collection as in bar 8, but for more variety of repetitive phrases, here we have added a characteristic movement that is encountered later in the same song.

13. Pirvelad Ghmerti Vakhsenot
(Let's first mention the God)

The blessing sung before starting work or during the feast (most often). Let's first mention the God. He is the most glorious."

The song from the sung by ensemble Sanavardo (Source 22).

* This small-note rhythmic figure is performed with a distinct slowdown. Usual tempo returns from the subsequent bar.

14. Kakhuri alilo (Kakhetian Alilo)

Christmas song-prayer. "On the 25th of this month Christ was born in Bethlehem".

From Chijavadze's collection (Source 14).

